ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 74
21/09/2016

74-08-4-201609211646

განკარგულება

დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N69-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.048) საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბერის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 38-ე მუხლის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. შემცირდეს, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ.#69-ში მდებარე (28.01.22.048 (მიწის(უძრავი ქონების საკადასტრო კოდით რეგისტრირებული) 750.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობასთან ერთად, საწყისი საპრივატიზებო საფასური და განისაზღვროს 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულისასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა